



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 380

ქალაქი ქუთაისი

29

მარტი

2017 წელი

ქალაქ ქუთაისში, ნიკეასა და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩების ბოლო მონაკვეთების შემაერთებელი უსახელო ქუჩისათვის ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჭეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შე ე ს ა ხ ე ბ

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილების დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და ქალაქ ქუთაისში, ნიკეასა და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩების ბოლო მონაკვეთების შემაერთებელი უსახელო ქუჩისათვის ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჭეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, შოთა მურღულიას 2017 წლის 16 მარტის №01/5907 წერილობითი მომართვის საფუძველზე:

**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქართული კულტურისა და მწერლობის განვითარების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, რეზო ჭეიშვილს, რომელიც დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობდა ქალაქ ქუთაისში.

**მუხლი 2.** ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ქალაქ ქუთაისში, ნიკეასა და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩების ბოლო მონაკვეთების შემაერთებელი უსახელო ქუჩისათვის ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჭეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვება.

**მუხლი 3.** დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას, უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისში, ნიკეასა და კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩების ბოლო მონაკვეთების შემაერთებელი უსახელო ქუჩისათვის ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, რეზო ჭეიშვილის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილებით განსაზღვრული წესით, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და წარმოდგენა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის.

**მუხლი 4.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /მისამართი: ვ.კუპრამის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 5.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,  
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის  
შემსრულებელი

ნიკოლოზ ლატარია